64
ტფილისი

№ 35
თებერვლის 12, ოთხშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 35
თებერვლის 12, ოთხშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თებერვლიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 9 მანეთი და 50 კაპ.

№ 37. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

საბენეფისო წარმოდგენა

ხუთშაბათს, 13 თებერვალს, 1903 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ **უკანასკნელად** წარმოდგენილი იქნება
ვალერიან გუნიას საბენეფისოდ
პირველად **ორი ახალი** პიესა

I

დარღვეული კერა

(პიესა 3 მოქ., ნაიდენოვის დრამიდგან გადმოქართულებული ვ. გუნიას მიერ).
(ამ პიესისთვის შეკვეთილია ახალი დეკორაციები)

II

სიძე-სიმამრი

მხიარული კომედია 3 მოქ. ვ. გუნიასი (გერმანულიდან).

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი. ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი, ბ. როსტომიანი, ელ. ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ. რეჟისორი **ვალ. გუნია.**

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად
ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად
კაბა-ანაფორა
და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მას არჩეული ჰყავს საზოგადოების აგენტებად (დამხმარებელ წევრებად) შემდეგი პირები, რომელნიც ღებულობენ ყოველგვარ შემოწირულებას საზოგადოების სასარგებლოდ და რომელთაც შეიძლება გადასცენ წევრებმა საწევრო ფული, როგორც ერთად, ისე ნაწილ-ნაწილად:

1. ალექსანდროპოლში: ბ-ნი ბაგრატ სიმონის ძე ვირსლაძე. ბ-ნი სამსონ ანტონის ძე დუმბაძე.
2. ახალ-სენაკში: კნ. ანნა გიორგის ასული მხეიძისა.
   ქ. ეკატერინე ბესარიონის ასული მასიძისა.
   ბ-ნი ნიკო ჯანაშია.
3. ბათუმში: ბ-ნი გრ. ვოლსკი.
4. ბალახანაში: ქ-ნი ეკატერინე დორთქიფანიძისა.
   ბ-ნი დიმიტრი მელაძე:
   ბ ნი გიორგი ნ. სადარიძე.
5. ბაქოში: ქ-ნი ოლგა დიუდვიგის ასული ქანანაშვილისა.
   ქ-ნი მარიამ დოდობერიძისა.
   ბ-ნი ივანე ელიაშვილი.
   თავ. იოსებ დადიანი.
6. ბორჯომში: ბ-ნი ვლადიმერ უიფიანი.
7. განჯაში: თავ. მიხეილ ივ. თაქთაქიშვილი.
   ბ-ნი ნიკოლოზ ლუკ. ბაქრაძე.
   ბ-ნი არხიპო მუსხელიშვილი.
8. გორში: ქ-ნი ნინო დურ. მაქარაშვილისა.
   კნ. მაკრინე ქაიხოს. ამირაჯიბისა.
   ქ-ნი ნინო უიფიანისა.
   კნ. ბარბარე ამირაჯიბი.
   ბ-ნი ნიკო ლომაური.
9. დუშეთში: ქ-ნი ელისაბედ სულხანიშვილისა.
10. ერივანში: ბ-ნი გრიგოლ ბურჭულაძე.
11. ზუგდიდში: ბ ნი სპირიდონ აბესაძე.
12. ზესტაფონში: კნ. ბარბარე წერეთლისა.
    ბ-ნი გიორგი ბოკერია.
13. თელავში: კნ. ელენე ვახვახიშვილისა.
    კნ. სოფიო ვახვახიშვილისა.
    ბ-ნი დიმიტრი ახვლედიანი.
    ბ-ნი პეტრე პავლ. ხუნდაძე.
    ბ-ნი ვასილ კახიძე.
    ბ-ნი ივანე კოლელაშვილი.
    ბ-ნი ნიკიფორ მამინაიშვილი.
14. თემირხანშურაში: ბ-ნი მიხეილ ბაქრაძე.
15. თიანეთში: კნ. ანნა დიასამიძისა.
16. ლეჩხუმში: კნ. დესპინე გელოვანისა.
17. მოზდოკში: ბ-ნი გიორგი დუდუშაური.
18. მოსკოვში: ბ-ნი ალექსანდრე კვალიაშვილი.
19. ნიკოლაევში: ქ-ნი ოლგა გიორგის ასული ხოფერიასი.
20. ნოვოროსიისკში: ქ-ნი მაკრინე დღონტისა.
    ბ-ნი ბახტაძე.
21, ოჩამჩირეში: ბ-ნი სპირიდონ ჩორკაძე.
22, ოზურგეთში: ბ-ნი დიმიტრი შავიშვილი.
    მღ. დიომიდე შილაქაძე.
    ბ-ნი მიხეილ თუმანიშვილი.
    თ-დი ნიკო თავდგირიძე.
23, როსტოვში: ბ-ნი ელიაძე.
24, საჩხერეში კნ. ნინო წერეთლისა.
    კნ. მერი სიმ. წერეთლისა.
    ბ-ნი ყარამან ჩხეიძე:
25, სოხუმში: კნ. ტერეზია შერვაშიძისა.
    ბ-ნი თეიმურაზ გაბუნია.
    ბ ნი სტეფანე თურქია.
26, სიღნაღში: ბ. გიორგი იას. ტყავაძე.
27, სალონიკში: ბ. იასე რაჭველი.
28, სევასტოპოლში: ბ. კობეშავიძე.
29, სტამბოლში: ბ-ნი კ. ჯაყელი.
30, ფოთში: ბ-ნი კონსტანტინე იოს. მიქაბერიძე.
    ბ-ნი იაკობ სპირ. ფანცხავა.
31, ქუთაისში: ქ-ნი ანნა ბეგლ. დორთქიფანიძისა.
    ქ-ნი მელანია დუარს. გველესიანისა.
    ქ-ნი მარიამ იოს. ყაუხჩიშვილისა.
    ქ-ნი ანასტასია დიმ. ბაქრაძისა.
    ქ-ნი ნინო ბესარ. ხელთუფლიშვილისა.
    ბ ნი მიტროფანე ლაღიძე.
    ბ-ნი იოსებ მერკვილაძე.
    ბ-ნი ალექსანდრე კრინიცკი.
    ბ-ნი ვასილ ა. თუმანიშვილი.
32, ხონში: ქ ნი კესარია გიორგ. ტატიშვილისა.
    ბ-ნი პოლიევქტოს ლაზ. კიკალიშვილი.
33, ჭიათურაში: ბ-ნი გიორგი ცერცვაძე.
    ბ-ნი ირაკლი დეკანოზიშვილი.
    ბ-ნი კარპე მოდებაძე.
    თ-დი ივანე (კიტა) აბაშიძე. (2—ყ.—2)

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** $7—7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7^1/_2—8$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2—8$ ს.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისი, 12 თებერვალი

მაკედონიის დღევანდელი მდგომარეობა საყოველთაო ყურადღებას იპყრობს მთელს ევროპაში.

ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი—ეს ორი ერთმანერთის მოპირდაპირე სახელმწიფო ბალკანეთის საქმეებში,—როგორც იყო შესთანხმდნენ და გადასწყვიტეს,—მშვიდობიანად, ნება-ყოფლობით მოვრიგდეთ ყველანი, თორემ ეს მცირე მღელვარება მეტად საფათერაკოდ გაუხდება მთელს ევროპასაო. მათის აზრით, მაკედონია ისევ ოსმალეთის ხელქვეითად უნდა დარჩეს, როგორც აქამდე იყო, მხოლოდ ზოგიერთი საჭირო რეფორმები უნდა შემოიღოს შინაურ მართვა-გამგეობის გასაუმჯობესებლადაო.

დიდ სახელმწიფოთათვის, რომელნიც დიდად უნდა აფასებდნენ და აფასებენ კიდეც—საერთო მშვიდობიანობას, დიდად მოსაწონია ავსტრიისა და რუსეთის გადაწყვეტილება; მხოლოდ იგივე არ ითქმის ბალკანეთის პატარა სახელმწიფოთა შესახებ. მაგ., ბულგარია სულ იმ ოცნებაშია, ყოველ ღონისძიებასა ხმარობს, რომ მაკედონია ოსმალეთს ჩამოშორდეს, დამოუკიდებელი გახდეს, რადგან დარწმუნებულია, რომ მომავალში თავის თავად შეუერთდება ღვიძლ-ძმას, ბულგარიას, და ამგვარად აღდგენილ იქმნება „დიდი ბულგარიაო“.

ბულგარიას თვით ოსმალეთიც აფრთხილებდა—თუ თხოვნით, თუ მუქარით,—შემდეგ ავსტრიამ და რუსეთმაც არ მოიწონეს მისი მისწრაფებანი და სასტიკად აღუკრძალეს,—წყალს ნუ ამღვრევ, ხელს ნუ უწყობ მაკედონიის ამბოხებას, თორემ ჩვენს ნდობა-თანაგრძნობასაც დაჰკარგავ, დი ვერც გულის წადილს მიაღწევო. ამგვარად, ბულგარიის მთავრობა იძულებული გახდა—წინააღმდეგ გულითადის სურვილისა—ზურგი შეექცია მაკედონელთათვის და ოფიციალურად სრული ნეიტრალიტეტი დაეცვა მაკედონია-ოსმალეთის საქმეში. მაგ., დაუწყო დევნა მაკედონიის კომიტეტებს, რომელნიც ბულგარიაში იყვნენ თავშეფარებულნი, გასცა ბრძანება მეამბოხეთა მოთავეების შეპყრობისა და სხ. მხოლოდ ეს ყოველივე გარეშეთა თვალის ასახვევად ხდება.

არამც თუ საზოგადოება ბულგარიისა, არამედ თვით მთავრობაც ჯერ კიდევ იმის მოიმედეა, რომ მაკედონიას, თუ სრული თავისუფლება არა, თვით-მმართველობა მაინც მიენიჭებაო.

ამ აზრის დასამტკიცებლად, ვგონებთ, ისიც საკმარისია, რომ ბულგარია გაფაციცებით შეუდგა სამხედრო თადარიგს; მეორეს მხრით ბულგარიის კომიტეტები ენერგიულად მუშაობენ საფრანგეთში, რომ საზოგადო თანაგრძნობა გამოიწვიონ და ამნაირად გავლენა იქონიონ იმ დიდ სახელმწიფოებზედ, რომელთაც უნდა გადასწყვიტონ მაკედონიის სვე-ბედი.

არა სცხრება არც სერბია; ისიც დიდ მზადებაშია და გადაწყვეტილი აქვს,—უეჭველად იარაღს მივმართავ, თუ მაკედონიის საქმე ბულგარიის სასარგებლოდ გათავდაო.

საბერძნეთი ხომ ცხადად ჰქომაგობს ოსმალეთს, სიამოვნებით ჰშველის მაკედონიის მეამბოხეთა დევნაში, ჰკისრულობს საპოლიციო სამსახურსაც-კი და სხ., მხოლოდ იმ აზრით, რომ ბულგარია არ გაძლიერდეს, მას არა შეემატოს-რაო; თუ საბერძნეთს არ ეღირსება მაკედონიის დაპატრონება, ნურც სხვას მივსცემთ ამის ნებასაო.

ინგლისი აქამდე გაჩუმებული იყო ელოდებოდა, რა გზას დაადგებოდნენ სხვა სახელმწიფონი. მხოლოდ ამას წინად დიდი წინააღმდეგობა განა, ცხადა, სასტიკი საყვედურით მიჰმართა ოსმალეთის მთავრობას, როცა რუსეთის ოთხი ჯავშნიანი გემი დარდანელის სრუტეში გაატარა,—რა უფლებით აძლევთ რუსეთს ნებას თავისუფლად გაიყვანოს ჯავშნიანი გემები ხმელთა შუა ზღვაშიო? საერთაშორისო უფლებით რუსეთს მხოლოდ სავაჭრო გემების გატარება შეუძლიან დარდანელის სრუტეშიო.

ინგლისისათვის ოსმალეთი დღემდე მუქთა და საიმედო დარაჯი იყო, რომელსაც რუსეთის შავი ზღვის სამხედრო გემები დამწყვდეული ჰყავდა შავ ზღვაშივე და არსად უშვებდა. რასაკვირველია, ინგლისს არაფრად ეჭაშნიკა, როცა ამ დარაჯმა თავაზა გაუწია მისს მეტოქე რუსეთსა.

როგორც მინისტრ-პრემიერ ბალფურის უკანასკნელ სიტყვიდგან სჩანს, ერთი ნაწილი ინგლისის საზოგადოებისა დაჟინებით თხოულობს, რომ აღმოსავლეთის საქმეებში ინგლისმაც ხელი გამოიღოს და საპატიო ადგილი დაიჭიროსო; მინისტრ-პრემიერიც იმ აზრისაა, რომ მაკედონიის საქმის გადასაწყვეტად ევროპის ყველა სახელმწიფომ უნდა მიიღოს მონაწილეობა, დ არა ერთმა და ორმაო.

როგორც ვხედავთ, მაკედონიის საქმეებს ჯერ კიდევ არ უჩანს დასასრული,—ახალ-ახალი მიზეზები იჩენენ თავსა. ამასთანავე, მეამბოხენი შემოდგომაზედვე ირწმუნებოდნენ,—ზამთრობი თუ ველარ განვაგრძეთ ჩვენი საქმე, გაზაფხულზედ უეჭველად მთელს მხარე ავაჯანყებთ, თუ თვით-მმართველობ მაინც არ მოგვენიჭაო.

დიდი სიფრთხილე, დიდი წინდახედულობა ჰმართებთ ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს, რომ მშვიდობით და

ბოლოონ მაკედონიის საქმე, სანამ კიდევ უფრო გართულდებოდეს და გამწვავდებოდეს.

ტფილისი

✦ დღეს ქალაქის საბჭოში დანიშნულია ქალაქის ხმოსანთა კრება, რომელიც განაგრძობს დარჩენილ საქმეების განხილვას.

✦ როგორც სურამიდგან გვატყობინებენ, 8 თებერვალს იქ დიდი უბედურება დატრიალებულა, რომელსაც შეუძრწუნებია მთელი დაბა. ამ დღეს თურმე მეეტლე მესხი ხაშურიდგან გეემართა მარხილით სურამში; შემდგარა თუ არა მარხილი რკინის გზის ლიანდაგზედ, ამდროს წამოსწევია სურამიდგან მომავალი მატარებელი და მესხი და ორი ცხენი იქვე გაუჭყლეტია.

✦ ქალაქის თავის ამორჩევა დანიშნულია 24 თებერვლისათვის.

✦ როგორც მკითხველებს ვაუწყებდით, სამშაბათს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო თავ. დადიანის საქმე, რომელსაც ქანწულ ქალის გაუპატიურება ბრალდებოდა და ოლქის სასამართლომ მიუსაჯა მას პატიმართა გამასწორებელ რაზმში $3^1/_2$ წლით ყოფნა. პალატამ განიხილა რა საქმე, დადიანი უდანაშაულოდ სცნო და ოლქის სასამართლოს დადგენილება გააუქმა.

✦ დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში დანიშნულია კავკასიის განყოფილების რუსულ ტეხნიკურ საზოგადოების წევრთა კრება. კრება განიხილავს სხვა საქმეთა შორის, ინჟინერ მაევსკის მოხსენებას რა გზით შეიძლება გაიაფდეს და გაადვილდეს სარწყავი არხების გაყვანის საქმე.

✦ მექანიკურის პურის საცხობის „ზარიას" პატრონმა ბ. კანდაროვმა მიმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, ნება მიეცეს მას ქალაქის პირველ ხორცის დუქნის შესავალთან გამართოს პავილიონი, კანდაროვისავე ხარჯით, სადაც იყიდებოდეს მის საცხობში გამოცხვარი პური,—რათა ქალაქს შეეძლოს გაითვალისწინოს, თუ რამდენი იქნება მოთხოვნილება პურისა; კანდაროვი სთხოვს ქალაქს, რომ, თუ ქალაქი მოისურვებს, მანვე დააყენოს პურის ვაჭრობის მეთვალყურე, რათა ქალაქს შეეძლოს დარწმუნდეს პურის ვაჭრობის სინამდვილეში.

✦ ქ. განჯაში მცხოვრები ქართველები 23 თებერვალს მართავენ ქართულ საღამოს; შემოსავალი ამ საღამოდგან გადაიდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ როგორც მკითხველს ვაცნობებდით, ბ. გროსმა შეიტანა განცხადება ხელოსანთა გამგეობაში და სთხოვდა, რომ შემოღებულ იქნას ტფილისის ხელოსანთა შორის გარდასახადი, რომლითაც დაკმაყოფილდეს მათი ზოგიერთა აუცილებელი საჭიროებანი, როგორათაც საკუთარის ექიმის ყოლა, წამლობა, საავადმყოფოს დაარსება და სხვა; ამ საგანზედ ხელოსანთა ერთ-ერთს კრებაზედ ამორჩეულ იქნა კომისია, რომელსაც მიენდო გარდასახადის რაოდენობის აღნიშვნა და პროექტის შედგენა: კომისიას უკვე შეუდგენია პროექტი, რომელიც ამ ახლო მომავალში ტფილისის ხელოსანთა წარმომადგენლებს მოხსენდება კრებაზედ: კრება დანიშნულია ქალაქის საბჭოს დარბაზში.

✦ რადგანაც წარსულ კვირას გადამწერთა დამხმარებელ საზოგადოების კრება არ შესდგა, ამიტომ ამ საზოგადოების კრება დანიშნულია მომავალ კვირას; კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

✦ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, კავკასიის რკინის გზათა მმართველობა 26 იანვრისთვის იწვევდა ქალაქის გამგეობას, რომ მათთან ერთად დეეთვალიერებინათ ნათლუხის სადგურთან ქალაქის ადგილები, სადაც უნდა აშენდნენ ბარგის საწყობი შენობები. რადგანაც ამ დღისთვის გამგეობის წევრმა ბ-ნმა ენფენჯიანცმა არ მოისურვა კომისიაში დასწრება, ამიტომ გამგეობაც არ წავიდა ადგილების დასათვალიერებლად; ეს ადგილები-კი, წარსული წლის 22 მარტიდგან, უმაღლესის ბრძანებით გარდავიდნენ რკინის გზათა მმართველობის მფლობელობაში; ამ დღიდგანვე ადგილების მოიჯარადრეებმა, რომელთაც ნავთის საწყობები აქვთ გამართული, შესწყვიტეს ამ ადგილებზედ იჯარის ძლევა; როგორც ხელშეკრულობიდგან სჩანს, მოიჯარადრე თითო საჟენზედ ქალაქის სასარგებლოდ იხდიდა წელიწადში ორ მანათს, ასე რომ ქალაქს 22 მარტიდგან დაჰკარგვია, ამ მამულებიდგან შემოსავალი, 3000—4000 მანეთამდე. ესეც კარგი გაფთხილებაა ქალაქის ინტერესებისა.

✦ 10 თებერვალს ტფილისსა და მცხეთას შუა საქართველოს გზა შეიკვრა; ამასთანავე ამოვარდა საშინელი ქარბუქი, რომელიც ჯერაც არ ჩავარდნილა.

✦ ამ წლის თვეებში მოჰხდება მორიგი საგუბერნიო კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, უნდა აირჩეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მომავალ სამის წლისათვის. როგორც ხმები დადის, ამ თანამდებობაზედ ა. ერისთავი აპირობს თავის კანდიდატურის წამოყენებასაო.

✦ როგორც გვატყობინებენ, ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ გლეხთ მიუმართავთ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების „კოლხიდასათვის" აბრეშუმის თესლისათვის, მაგრამ ხსენებულს საზოგადოებას თესლი არა ჰქონია.

✦ შაბათს, 8 თებერვალს, ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში ქართულის თეატრის მსახიობთა მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა ვ. გუნიას „ძალა აღმართსა ხნავს". წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ მომავალ პარასკევს, საღამოს $7^1/_2$ საათზე ავლაბრის სახალხო თეატრში წარმოდგენილი იქმნება ფრანგულიდგან ნათარგმნი „პარიჟელი ღარიბ-ღატაკნი".

✦ 24 თებერვალს დაბა ბორჯომში ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრის სცენის მოყვარულთა მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნება „პეპო".

✦ ტფილისის სააუქციონო დარბაზში პირველ თებერვლამდის გაყიდულა 3,766 მან. 25 კაპ. ნივთები; 9 თებერვლისათვის—4,653 მან. 85 კაპ.

✦ როგორც ნამდვილი წყაროებიდგან შევიტყეთ, გორის მაზრაში იმოდენა თოვლი მოსულა, რომ სოფლიდგან სოფლამდის მისვლა შეუძლებელი გამხდარა; სოფლებიდგან გორში მისვლა-მოსვლა შეწყვეტილა და ამის გამოისობით გორში ზოგიერთა სანოვაგეზედ ფასს შესამჩნევად აუწევია; ამის გამოისობით გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრება, რომელიც აქამდისაც უნდა მომხდარიყო, მაზრის აზნაურთა წინამძღოლს გადუდვია მარტისათვის.

✦ როგორც მკითხველებს ვაუწყებდით, ტფილისის მეორე მომრიგებელ მოსამართლეს განყოფილებაში უნდა გარჩეულიყო ქალაქის უფროს სავაჭროთა ზედამხედველის ბ. ფურცელაძის საქმე, რომელიც ხმოსანს ბუღდანოვ — ბაღდასაროვს ცილის დაწამებას უჩიოდა; სასამართლოში ფურცელაძის ვექილმა, ბ. რცხილაძემ აუწყა რა მსაჯულს საქმის გარემოება, დასძინა, რომ ფურცელაძე ოცდა თორ-თხუთმეტი წელიწადია რაც ქალაქის მმართველობაში მსახურობს და ამ ხნის განმავლობაში არას დროს არ ყოფილა შემჩნეული უფროსებისაგან, და მას მადლობის მეტი არა მიუღიარა მათგანაო; ფურცელაძის სამსახურის უანგარობის დასამტკიცებლად ბ-ნმა რცხილაძემ მოწმათ მოიყვანა ბ-ნი გულისოვი, თანაშემწე ფურცელაძისა; ამაზედ ბაღდასაროვის ვექილმა სთხოვა მოსამართლეს ნება მიეცა წეეკითხა ქალაქის გამგეობის დადგენილება: ვექილმა წაიკითხა დადგენილება, რომელშიაც აღნიშნული იყო: შემჩნეულია, რომ ბ ნი გულისოვი მოვალეობის ძალით, კრეფავს ფულს, ორი სამი თვე თან დააქვს და დროზედ არ შემოაქვს ქალაქის კასაშიო; ამიტომ ეუწყოს ბ ნ გულისოვს, რომ თუ კიდევ შეიმჩნა ამისთანა რამეში, იგი დათხოვნილ იქნება სამსახურიდგანაო; საყვედური გამოეცხადოს აგრეთვე გულისოვის უფროს ბ-ნ ფურცელაძეს, რომელიც თვალყურს არ ადევნებდა გულისოვის სამსახურსაო და ამასთანავე ისიც, რომ გულისოვი მუყაითად თვალს არ ადევნებდა ქალაქის მამულებს, რის წყალობითაც მელანია ფურცელაძისას დაუჩემებია ქალაქის ადგილები. ბუღდანოვის ვექილის წაკითხულმა ჩვენებამ თითქმის საბოლოვო გარდაწყვეტილება იქონია საქმეზედ. მოსამართლემ გაამართლა ხმოსანი ბუღდანოვი—ბაღდასაროვი.

✦ არ იქნა და არ მოეღო ბოლო ვაჭარ-ჩარჩების თავ-გასულობას და აღვირ-წასხნილობას! აი, ერთიც მაგალითი ამათი ოინ-ბაზობისა: კვირას, 9 თებერვალს, ჩამოიტანა ერთ სოფლელს ქათმები და გოჭები გასასყიდად. ეს ვაჭ-ბატონები დილა-ადრიანადვე შესჩხიან, მანამ ბაზარი ხალხით აივსებოდა. იმათ და საუბედუროდ ეს სოფლელი თავიანთ მახეში ვერ გააბეს, ე. ი. ჩალის ფასად არ მიუყიდნია ამ წურბელებისათვის. რადგანაც გულ-უბრყვილო სოფლელმა არ იცოდა, თუ დამღა დასჭირდებოდა, გოჭებს უდამღოთ დაუწყია გაყიდვა. და აი, სწორედ ამ დამღა დაუკვრელობით უსარგებლნიათ გაქნილ ექსპლოატატორებს და სხვა ხერხი უხმარიათ. ერთი იმათგანი წასულა ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო ბიუროში და დაუბეზღებია: ერთი სოფლელი დამღა დაუკვრელ გოჭებს ჰყიდისო; რასაკვირველია იმათაც ფერშალი გაუგზავნიათ, წაურთმია 4 გოჭი ამ ფერშალს და გაუქანებინა ნავთლუღში დამღის დასაკრავად საველეტერინარო განყოფილებაში. მაგრამ რა გამოვიდა! მთელი ორი დღე გააჩერეს ამ თოვლ-ჭყაპში ბეჩავი სოფლელი და მესამე დღეს ძლივს დაუბრუნეს აყროლებული გოჭები, იმ 4-დან ორი დაებრუნებინათ, ხოლო ორი დაეწუნათ, რომელიც ისევ ჩარჩ-ბაყლების მსხვერპლი შექმნილა. აი ასე ერთგულობით ასრულებენ ქალაქის ბეითლები თავიანთ მოვალეობას!..

✦ მოგვივიდა თებერვლის ნომერი ჟურნ. „ჯეჯილისა" შემდეგის შინაარსით: მგელი და იშხვარი (პოლონური ზღაპარი) თორნიკესი, * * * ლექსი დ. თომაშვილისა, კაცის ძაღლი (ზღაპარი). წერილი დედი დოდუსაგან, კეთილი ანგელოზი (ინგლისური ზღაპარი) ალ. ნათაძისა, შვავანი ძაღლი (თარგმანი), მეფე და მათხოვარი (თარ.) ბეს. გამაძისა, მეფუტკრე (იგავი) ალ. მირიანაშვილისა, როგორ მიმდინარეობს ქვეყნად ცხოვრება (შემდეგი) კოტე ელიოზაშვილისა, ფოლადი, ლექსი აკაკისა, ბორტი კუზიანი (თარგმანი) თომასი, პირამი და თისბა (ოვიდიუსიდან) ა. ყუმისთაველისა, ძველი ისტორია (დავისისა, შემდეგი.), რომელ ჩვენ მეფეს ეძახიან აღმაშენებელს და ან რად დაარქვეს ეს სახელი? ვლად. მეტრეველისა, წვრილმანი: ხევსურული ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, უჯრების ამოცანა, არითმეტიკული ამოცანა, შარადა, რებუსი და სხვა.

ქალაქის საბჭოს კრება. 10 თებერვალს, ტფილისის ქალაქის თავის მოადგილის ბ-ნ შესტაკოვის თავმჯდომარეობით, კრება იყო ქალაქის საბჭოს ხმოსანთა. პირველად კრებას მოხსენდა სია იმათი, რომელნიც არ დაესწრნენ საბჭოს კრებას 3-სა და 4-ს თებერვალს.

შემდეგ ქალაქის თავის მოადგილემ მოახსენა კრებას: როგორც უკვე იცით, ჩვენ მიერ ამორჩეული ქალაქის თავად ბ-ნი არღუთინსკი არ იქმნა დამტკიცებული ამ თანამდებობაზედ და ამიტომ დანიშნეთ დრო, როდის მოჰხდეს ახალი არჩევანი ქალაქის თავისაო.

მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა ქალაქის თავის არჩევანი მოჰხდეს 24 თებერვალს, მანამდე-კი დაინიშნოს რამდენიმე კერძო კრება და დასახელებულ იქმნას კანდიდატიო. შემდეგ თავმჯდომარემ აუწყა კრებას დადგენილება ქალაქის საგუბერნიო საქმეთა საკრებულოსი, რომელმაც საჭიროდ არ დაინახა ქალაქის სასწავლებელთა კომისიის გარდაქმნა აღმასრულებელ კომისიად. ბ-ნი შესტაკოვი შეეკითხა კრებას, შეიწყნარებთ, თუ განასაჩივრებთ საგუბერნიო საქმეთა საკრებულოს გადაწყვეტილებასაო.

ბ-ნმა სულხანოვმა სთქვა, საგუბერნიო საქმეთა საკრებულოს გადაწყვეტილება მიმაჩნია უკანონოდ და ამიტომ განვასაჩივროთო.

კრებამ ბ-ნ სულხანოვის წინადადება ერთხმად მიიღო და დაადგინა აგრეთვე, რომ საჩივარი ეხლავე გაიგზავნოს, სადაც ჯერ არს.

ბ-ნმა ევანგულოვმა სთქვა, საჭიროა კარგად შევადგინოთ საჩივარი და დავიცვათ ქალაქის ინტერესიო; საჩივრის შედგენის დროს მოვიწვიოთ ბ-ნი მიქელაძეც, რომელიც საგუბერნიო საქმეთა საკრებულოში ენერგიულად იცავს ჩვენს გადაწყვეტილებასაო.

კრებამ ერთხმად მიიღო ბ-ნ ევანგულოვის წინადადება.

კრებას ამ საღამოს მეტი არა განუხილავსრა და მთელი დრო მოანდომა იმისთანა კამათს, რომელსაც არაფერი გამოურკვევიარა.

სამეურნეო საზოგადოების კრება.

(დასასრული *)

შაბათს, 8 თებერვალს, ბ-ნ სულთან კრიმგირეის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდათ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთ. კრებამ მთელი საღამო მოანდომა ბ-ნ ანდრონიკაშვილის მიერ წინა დღით წაკითხულის მოხსენების განხილვას და ამ საგნის შესახებ კამათს.

ბ-ნ ვახვახიშვილი. არ შემიძლია დავეთანხმო ბ-ნ ანდრონიკაშვილის აზრს იმის შესახებ, რომ ვითომ თავ.-აზნაურთა კომისიის მიერ ამორჩეული გზის მიმართულება სჯობდეს ყველას. როცა რკინის გზა გაგვყავს, ჩვენ მხედველობაში გვაქვს როგორც კომერციული მხარე, აგრეთვე სამეურნეო. ახლა გავშინჯოთ, რა შემოსავალს მოგვცემს თიანეთზე გაყვანილი რკინის გზა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ თიანეთი მდიდარია ბუნებით, იქ ბევრი რამ მოიპოვება, მაგრამ წარმოება შეჩერებულია რკინის გზის უქონლობისა გამო. წარმოიდგინეთ მარტო ის, რამდენი ხე-ტყე გამოიზიდება თიანეთის მაზრიდგან, რკინის გზა რომ იყოს. მხედველობაში უსათუოდ უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ თიანეთისაკენ, საითაც მე ვამბობ, რკინის გზა გავიყვანოთმეთქი, ცუდი გზებია და უბრალო ურმების გადატანაც ერთი ადგილიდგან მეორე ადგილს—ძნელია. ამიტომ ყოველი ადგილობრივი ნაწარმოები გამოიზიდება სხვა კუთხეებიდგან რკინის გზით და, მაშასადამე, რკინის გზას კარგი შემოსავალი ექმნება. ამდენს შემოსავალს მოგვცემს განა ივრის ხეობის რკინის გზა? არა, რადგან იქითკენ მშვენიერი გზებია, ერთი ადგილიდგან მეორე ადგილას ნაწარმოების გადატანა ადვილია და მაშასადამე გლეხი არჩევს, ურმით გაიტანოს, რაც გასატანი ექმნება. ყველა ამას უნდა დავუმატო, რომ ვინ იცის ბ-ნ ანდრონიკაშვილის მიერ მოყვანილი სტატისტიკური ცნობანი მართალია თუ არა! ამ ცნობებს თვით მომხსენებელიც არ ერწმუნება... სამინისტრომ სამი ვარიანტი გამოიკვლია და იმანაც უპირატესობა თიანეთის მაზრას მისცა და კონცესიონერებს კიდეც მიეცათ ნება გზის გაყვანისა. ამ რიგად გადაწყვეტილია, თიანეთზე გაყვანილი იქმნეს რკინის გზა, საქმე კიდეც იწყება და ამიტომ არ ვიცი, თავ. ანდრონიკაშვილის მოხსენებას სხვა რა აზრი აქვს, თუ არ ის, რომ დაწყებულის საქმის დამთავრებას ხელი შეუშალოს. ამიტომ კრებას ვთხოვ ხელს ნუღარ შეუშლის ამ საქმეს და შეძლება მისცეს თიანეთის მაზრის მცხოვრებთ გაიტანონ აუარებელი ხე-ტყე, მატყლი, ყველი, ერბო და სხ.

ბ-ნნი ამერიკელი ლამარკი, რცხილაძე და სხვანი ბ-ნ ვახვახიშვილის აზრს მიემხრნენ. ბ-ნ ანდრონიკაშვილის აზრის მომხრეთ განაცხადეს, კონცესიონერებთ დიდი ხანია (4 წელიწადი) მინდობილი აქვთ თიანეთზე რკინის გზის გაყვანა, მაგრამ დღემდე ჩვენ ვერაფერს ვხედავთ იმათ გაკეთებულსაო.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ინჟენერმა აკორონკომ განაცხადა, სამინისტრომ იმიტომ განიზრახა თიანეთზედ რკინის გზას გაყვანა, რადგან სიმბერგმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამ მიმართულების გამოკვლევა, განიზრახა განიერ ლიანდაგიან რკინის გზის გაყვანა მაშინ, როდესაც თავ.-აზნაურობის გზის მიმართულებაზედ უნდა გასულიყო ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზაო. რაც შეეხება ბ-ნ ანდრონიკაშვილის პროექტს ის არ გვაკმაყოფილებს, რადგან მომხსენებელს არა აქვს თვითონ გამოკვლეული მიმართულება და სხვის გამოკვლევით ხელმძღვანელობს, ისიც ვინ იცის, როგორ არის გამოკვლეულიო. ჩემის აზრითაო, განაგრძო ბ-ნმა აკორონკომ—საჭიროა თავდაპირველად გამოვიკვლიოთ მიმართულებანი დაწვრილებით, გავიგოთ, რკინის გზის გაყვანას რამდენი ხარჯი დასჭირდება შემდეგში, რამდენ შემოსავალს მოგვცემს და მაშინ შევადგინოთ გეგმაო. *)

ამის შემდეგ ზოგიერთებმა წინადადება მისცეს კრებას, ბ-ნ ანდრონიკაშვილის მოხსენება სპეციალურ სატეხნიკო საზოგადოებას გადავსცეთ გადასასინჯად და მოვისმინოთ იმათი აზრიო. უმრავლესობა კრებისა წინააღმდეგი იყო ამ წინადადებისა.

დასასრულ თავჯდომარემ ბ-ნმა სულთან კრიმ-გირეიმ წინადადება მისცა კრებას, კონცესიონერებს კიდევ ერთი წელიწადი ვადა აქვთ რკინის გზის გასაყვანად და ამიტომ მოვიცადოთ იმ დრომდეო; თუ რამეს გააკეთებენ იმ დრომდე კონცესიონერები, მაშინ კარგი, თუ არა და მერე ჩვენ ვიღონოთ რამ ამ საგნის შესახებო.

კრებამ მიიღო ეს წინადადება.

კრება 12 საათზე გათავდა.

სიტყვა,

წარმოთქმული მარტვილის ტაძარში თავ. ვასილ გიორგის ძის მაჩაბლისაგან უგანათლებულესის სამეგრელოს თავადის ნიკოლოზ დავითის ძის დასაფლავებაზედ.

სულითა და გულით სახსოვარო, დაუვიწყარო, ყმაწვილობიდგანვე ჩემო მეგობარო, სასიქადულო მამულის შვილო ნიკო!

თუმცა გული მიკვნესის და ენაც არ მომდევს, როდესაც დავსცქერი შენს უდროოდ გაციებულს გვამს, ამ კუბოში მდებარეს, მაგრამ მაინც არ შემიძლიან ეს შეწუხებული გული არ მოვილბო და ორიოდე სიტყვით არ აღვბეჭდო ის შენი სულის თვისებანი, რომლითაც განირჩეოდი და ბრწყინავდი, როგორც შენი წრის საზოგადოებაში, ისე ჩვენს სამშობლოში.

უწინარეს ყოვლისა, შენ იყავ ნამდვილი ქრისტიანი, ღვთის მოყვარე, გულკეთილი, უხვი, თავმდაბალი და მტკიცედ ადექ ჩვენის მაცხოვრის იმ ცნებას, რომელიც გვასწავებს: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო". და მართლაც, დახმარებაში და მოწყალებაში შენმა გულმა უარი არ იცოდა. ეს სიტყვა გამოტოებული იყო შენს ლექსიკონში და მრავალნი, როგორც შენი მამულის შვილნი, ისე უცხოელნი უხვად სარგებლობდნენ ამ შენის გულკეთილობით.

თავმდაბლობაში და სიუხვეშიც შენ სწორი არა გყავდა. მთავრად დაბადებულს, ყოველთვის, როდესაც-კი შენ სამშობლოში მოგიხდებოდა ხოლმე ყოფნა, გარს გეხვია ღარიბი თავად-აზნაურობა, გლეხობა და ყველას, როგორც და რითიც-კი შეგეძლო, ნუგეშს სცემდი, ეხმარებოდი და ტვირთს უმსუბუქებდი ვინ მოსთვლის, რამდენ მოსწავლე ყმაწვილკაცის თვის ხელი გაგიმართნია რამდენისათვის სწავლა დაგიმთავრინებია, რამდენი ქვრივ-ობრისათვის და ობლისათვის ცრემლი შეგიშრია? შენ არ გიყვარდა ამ კეთილის საქმეების გამომჟღავნება, როგორც ჩვენში ბევრმა იცის და ხშირად შენმა მარცხენამაც არ იცოდა, რამდენს არიგებდა მარჯვენა. შენის დაკარგვით მათ მოაკლდათ ნამდვილი მოსიყვარულე მფარველი, ნამდვილი მოსიყვარულე მამა და, რა გასაკვირველია, რომ ჩემთან ერთად კვნესის და სტირის შენი პატარა საყვარელი სამეგრელო, კვნესის და სტირის ის, ვისაც-კი უნახიხარ შენ სიცოცხლეში და შენი ტკბილი ენა სმენია.

ნუ თუ ამ სიტყვებს არ ამოწმებს ის, რაც ამ სამ დღეში ვნახეთ? მიუხედავად ამინდისა და მუხლამდე ტალახისა, როდესაც, როგორც ჩვენში ამბობენ, ნადირიც-კი არ გაიგდება კარში, ზღვასავით ამოდენა ხალხი, განურჩევლად წოდებისა, დიდით პატარამდე, ქალით კაცამდე, გვირგვინებით მოაწყდა შენს კუბოს, რომ უკანასკნელად გამოგთხოვებოდა და ამასთან დაფნის და ბზის შტოებით ჰფენდა შენს გზას, რომელსაც ისე შორს მიჰყევხარ ჩვენკან, ჩვენო დაუვიწყარო და საყვარელო მამულის შვილო ნიკო. ჭეშმარიტად, ამ გვარი სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც ეხლა შენ გიცხადებს ეს ამოდენა ერი, არის ისეთი ჯილდო, რომელსაც ბევრი გვირგვინოსანიც არ ეღირსება ხოლმე.

გარდა ამისა, შენ იყავ დიდად ნიჭიერი, განათლებული, განვითარებული მჭევრმეტყველი და მეტად ზრდილობიანი კაცი. არ იყო ისეთი საგანი, რომელზედაც შენს ჭკუა-გონებას არ ემუშავნა თავისი მსჯავრი და დასკვნა არ დაედო. ეს იყო მიზეზი, რომ რომელს ოჯახშიაც, რომელს საზოგადოებაშიაც დაესწრებოდი, იპყრობდი მის ყურადღებას, ინადირებდი მათ გულის მიმზიდველობას შენდამი. შენ არ იყავ, რომ აწ განსვენებული თვით ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე მესამე ისე განაცვიფრე და მოხიბლე შენის ცოდნით, განათლებით და მრავალ გვარის ნიჭიერებით, რომ მთელს თავის სახელმწიფოში, ყველა დიდკაცებზედ შენ მოგცა უპირატესობა და, შენდა უნებლიეთ, ბოლგარიის მთავრის კანდიდატად დაგნიშნა შენ, ძვირფასო და დაუვიწყარო მამულის შვილო ნიკო, და ამით დაანახვა და დაუმტკიცა მთელ ქვეყანას, რომ საქართველოც იძლევა ისეთ მამულიშვილებს, რომელნიც თავის ნიჭით და ღირსებით ევროპიელებს არ დაუვარდებიან.

მაგრამ ყველაზედ უმეტესი შენი ღირსება იყო, რომ გულით გიყვარდა შენი სამშობლო, დედა-ენა და შენი თანამემამულენი. მათი სიხარული შენ გახარებდა, მათი წუხილი შენ გაწუხებდა. ნამეტნავად შენ იცავდი ჩვენს ძვირფასს დედა-ენას და არა ჰგავდი იმ ჩვენ დიდ ბობოლებს, რომელთაც, არამცთუ არ იციან თავისი ენა, სხვებსაც კი ურჩევენ დაივიწყეთო. ბევრჯელ გითქვამს ჩემთვის: ენის დაკარგვით ერიცა კვდებაო. მე მახსოვს ის შემთხვევა, როდესაც ქართული ენა უნდა მოესპოთ სამეგრელოს ეკკლესიებში, როგორ შეგაწუხა და აღგაშფოთა ამ გარემოებამ; რა რიგი ვრცელი და დასაბუთებული წერილი მისწერე მაშინდელ საქართველოს ეგზარხოსს პალადის, რომ გაეუქმებინათ ეს განკარგულება. ამ აზრით დიდ მნიშვნელობას აძლევდი ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ისიც მახსოვს, რა სიამოვნებით მიმაწერინე წერილი, რომლითაც ამ საზოგადოებას შესწირე შენი წინანდელი მამა-პაპათ მთავრებისაგან დიდის ღვაწლით და შრომით შეგროვილი ქართული ბიბლიოთეკა. შენ ბევრჯელ გითქვამს ჩემთვის: კარგი იქნება ტფილისში აშენდეს კარგი მუზეუმიო და ჩვენ ისტორიული ნაწარმოებს, როგორც ლიტერატურულს, ისე სხვა-და-სხვა ხელოვნურს, იქ თავი მოვუყაროთო, რომ უცხოელები მათის ნახვით და გაშინჯვით დარწმუნდნენ, რომ ჩვენც გვქონია დიდებული წარსული, დიდებული ისტორიაო.

მერმე რატომ არ მოუცადე ამ აზრის შესრულებას? რამ გაიძულა ასე მალე გამოსალმებოდი შენს ქვეყანას, შენს ნათესავებს, შენს მეგობრებს? თუ ესენი არ გენანებოდა, შენი საყვარელი შვილი ნიკო, რომელიც, ეს სამი დღეა, მწუხარებით გესალმება და გულით ებრძვის შენს მოშორებას, რატომ დასტოვე ობლად? რატომ შენ თითონ არ გააცან შენი ქვეყანა, შენი ხალხი, შენი ნათესაობა, შენი მეგობრები, რომელნიც ასე რიგათ სწუხან და ჰგოდებენ შენს უდროოდ დაკარგვას და ჩემთან ერთად გულში ამბობენ: საუკუნოდ იყოს სახსენებელი შენი, საუკეთესო და დაუვიწყარო მამულის შვილო, ჩვენო გულით საყვარელო და სასიქადულო ნიკო!

---

*) იხ. „ივერია" № 34.

*) აკორონკოს სიტყვას ვრცლად დავბეჭდავთ შემდეგში.

ვინ იყვნენ ხეთელნი?

ა. გ. საისმა, ოქსფორდის სამეფო კოლეჯის პროფესორმა 1888 წ. გამოაქვეყნა მეტად საინტერესო წიგნი სახელად „ხეთელნი, ანუ დავიწყებულის სამეფოს ამბავი“. ეს წიგნი შარშან დაიბეჭდა რუსულად თარგმნილი კ ბუტკოვსკის მიერ. ვინ იყვნენ ხეთელნი, რომელთაც მისრეთსავით (ეგვიპტეა) ძლიერი სახელმწიფო ჰქონდათ და მის მოკილედ ითვლებოდენ საქვეყნო ბატონობის საქმეში და რომელთაგანაც ძველმა ბერძნებმა სწავლა-განათლება მიიღეს? ხეთელთა ქართველობის სასარგებლოდ საისის წიგნში შემდეგი დედააზრებია გამოთქმული:

1) ხეთელნი კაპადოკიის (ჭანეთის) ძირითადი მკვიდრნი იყვნენ.

2) ხეთელნი თეთრ სირიელებად იწოდებოდენ*) და ჭალისის მდინარის მოსამზღვრედ ცხოვრებდენ.

3) ვანის (ურართა) ლურსმურ წარწერათა ენა ხეთურს ეკუთვნოდა და

4) ხალიბნი (ჭანები), რომელნიც ხეთელთა მიწა-წყალზე ცხოვრებდენ, ხეთელთა მოდგმისანი იყვნენ.

ბევრი რამ არის ჩვენთვის საგულისხმო ხეთურსა და ურართულ ლურსმებრივ წარწერებში და დიდ სამსახურს გაუწევენ თავიანთ მამულს და საზოგადოდ მეცნიერებას ის ქართველი, არა ხელობით, არამედ მოწოდებით, ფილოლოგები, რომელნიც შეუდგებიან ამ საქმის კვლევაში საისსა და აგრეთვე ლენორმანსა, რომელმაც ურართულ ლურსმებრივ წარწერათა ქართულობა უეჭველად ჰსცნო და განსაცვიფრებელი მაგალითები მოიყვანა ქართულ და ურართულ არსებით და ნაცვალ სახელთა კანკლედობის და ზმნათა უღვლილების ერთობისა. ლენორმანს რომ ბუნებით ქართველი ყოფილიყო, ნამდვილ საწაულს მოახდენდა. აი, სხვათა შორის, რათა. ურართულ ნაწერებში საკუთარ სახელებს ემატება ნაბოლოვარი ხინი, რომელიც ნიშნავს შვილსა და რომლის ძალი მხოლოდ ალღოთი შეიტყეს. ის-კი აღარ იცოდენ, თუ ქართულშიაც (მეგრულში) იყო ნაბოლოვარი ხა, რომელიც გვარის ბოლოს მიემატება ხოლმე და ნიშნავს ასულსა. ამას გარდა ხინი რომ რთული სუფიქსი უნდა იყოს და გაძლიერებულის ბრუნვისაც, როგორც მაგალითად არის აწინდელი ხისანი, ამას ამტკიცებს ხეთურ ლურსმებრივ წარწერათა სიტყვა ხათუ-ხი, რომელსაც საის ჰსთარგმნის ხეთელად, ასე რომ ხეთური ხი იგივ ურართული ხინი სუფიქსია. ორივ-კი ქართული (მეგრული) ხე, რომელიც ნიშნავს ასულსა და რომლისაგანაც წარმოდგა მხევალი.

დიახ, ქართველი ფილოლოგია საჭირო, ღრმად მცოდნე ქართულის ენისა და მისი კილოების მეგრულ-ჭანურ-სვანურისა, რომ საუკუნო სახსოვარ ჰყოს ამბავი და დიდება დავიწყებულ სამეფოთა ქალდის ურისა და ხეთისა (ხათუსი), რომელთა მემკვიდრედ უეჭველად ცნობილ უნდა იქმნეს ქართუ, ანუ ქართუელი.

კლდია.

ჩვენებური ამბები

გუბი (ქვემო იმერეთი). გუბელებს ამ ჟამად დიდი გასაჭირი მოელით, რადგანაც მოსაწყობი აქვთ ორი სკოლა: ქალებისა, რომელიც ეხლა ვაჟების ერთ-კლასიან სკოლის დარბაზში არის მოთავსებული ნაშუადღეობით და მეორე, ვაჟების ორ-კლასიანი, (რომელიც, როგორც ბ-ნი ინსპექტორი გვარწმუნებს, მომავალი სამოსწავლო წლისათვის გაიხსნება,) ყველა ეს, რასაკვირველია, დიდ ხარჯს მოითხოვს და მძიმე ტვირთად დააწვება გუბის ნივთიერად დაქვეითებულ საზოგადოებას.

მცხოვრებნი დიდის აღტაცებით ეგებებიან ბ-ნ ნესტორ წერეთლის მეთაურობით საზოგადო დუქნის გახსნას. 2-ს თებერვალს ამის შესახებ მომხდარ კრებაზედ, რომელზედაც ბ-ნმა ნესტორ წერეთელმა მოკლედ და გასაგებათ განუმარტა ხალხს ამ დუქნის მნიშვნელობა-საჭიროება, დამსწრე საზოგადოებამ სურვილი განაცხადა საზოგადო დუქნის გახსნისა. მაგრამ დუქნისთვის ადგილი ვერ აირჩიეს და კრება გადაიდო შემდეგისათვის.

მიხა.

ქიზიყი. თოვლი კიდევ მოვიდა თებერვლის პირველ კვირის დამლევს, დაფარა მთაბარი და მთლად შეუკრა კაპიწი უსაჭმელობით ძალზე შეწუხებულს ცხვარ-ძროხას. თუ მალე არ დადნა და კიდევ სხვაც დაუმატა, დიდძალი ცხვარ-ძროხა დაიღუპება უბალახობით.

დ. ცხინვალი. აქეთ მკაცრი ზამთარია. თოვლი თანდათან ემატება. თოვლი ქარ-ბუქს ერთი ადგილიდან მეორეზედ გადააქვს. ზოგან ღობეები მთლად დამარხულია. ალაგ-ალაგ ავადმყოფობაც ჩნდება. ამბობენ, მოსავლისათვის კარგი ამინდიაო. ღმერთმა ჰქნას.

ქუთაისი. აქაური ნოქრები ვერ ეღირსნენ თავისუფლებას კვირა-უქმე დღეებში. თხოვნებით თავმობეზრებულმა ქალაქის თვითმმართველობამ, როგორც იქმნა, ერთ-ერთ კრებაზე აღძრა ამის შესახებ კითხვა. ხმოსან-ვაჭრებმა ძლიერ იწყინეს და ასტეხეს ერთი აურ-ზაური. გაიმართა „რეჩები“. ვაჭრების უმეტესი ნაწილი დაჟინებით თხოულობდა, კვირა-უქმე დღეს დუქნები გაიღოსო. ბოლოს „რეჩი“ წარმოსთქვა ერთმა აქაურმოღვაწეთაგანმა და ამტკიცებდა, თუ ნოქრებს თავისუფლება მივანიჭეთ, ისინი გაირყვნებიან, საქმეზე გულს აიღებენ და დაიღუპებიანო. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ ვაჭრებმა თავისი გაიტანეს, მაგრამ ნოქრებისთვის რომ არ დაენახვებინათ თავიანთი გამარჯვება და მათთვის დროებით თვალები რომ აეხვიათ, აირჩიეს კომისია, რომელსაც დაავალეს გაეგო, რამდენ ხანს იკეტება დუქნები კვირა-უქმე დღეებში რუსეთის ზოგიერთ დიდ ქალაქებსა და აგრეთვე ტფილისში. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა სისწრაფით გადასცემდა ეს კომისია ამ კითხვას „დავიწყების მორევს“. დიაღ, ძალა აღმართსა ხნავს.

Allience.

გურია. ერთი უსაშინელესი უბედურება ადამიანისათვის სიმთვრალეა. ყველგან არის ეს სენი გავრცელებული; ყველგან სიმთვრალეს ცუდი ბოლო აქვს, მაგრამ ისეთი ძალმომრეობითი სმა, როგორც აქეთკენ იციან, არსად არის. გურულს კაცს თუ ვინმე ესტუმრა, უეჭველად უნდა დაათროს; ამის შემდეგ ასტეხენ ხოლმე ჩხუბს და აყალ-მაყალს. კაცის კვლა ისეთ უბრალოზედ მოხდება ხოლმე, რომ ადამიანი გაჰკვირდება. თუ ღვინის სმა არ შეგიძლიან და უარი განაცხადე სტუმრობის დროს, მაშინვე ძალას გატანენ, გინდა თუ არა დალიეო და გეუბნებიან: „ან დალიე ან კარში მიბრძანდიო“. თუ სტუმარმა წინააღმდეგობა გაბედა, მაშინვე ტყვიის ან ხანჯლის მსხვერპლი შეიქნება.

ამას წინად ერთი მეტად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა სოფ. ჭანჭათში. გ. ცინცაძეს და მის შვილს ს. ც—ძეს სხვა სოფელში ქალის სანახავად წაუყვანიათ თავისივე მეზობელი, ქალი უნახავთ და იქიდგან დაბრუნებისას გამოუვლიათ კ. ჯაშისას. იქ ძალზედ დამთვრალან და, რომ სიარულის თავი აღარ ჰქონიათ, ბევრი უხვეწნია მასპინძელს ჩვენსას დარჩითო, მაგრამ იგინი მაინც წამოსულან. რამდენიმე მანძილი რომ გაუვლიათ, გ. ცინცაძეს განუცხადებია თანამგზარებისათვის მე სიარული აღარ შემიძლიან და აქვე მოვიცდი ჩემს ნათესავისას. დანარჩენნი წამოვიდნენ და დაუახლოვდნენ თუ არა დაბა „ნაგომარს“ ს. ცინცაძემაც ვერ შესძლო სიარული და ამხანაგებს უთხრა თქვენ წადით და მე-კი „ნაგომარზედ“ ნათესავი მყავს და იქ მოვიცდი ამაღამო. ამხანაგებიც დაიმედებულნი იმითი, რომ მართლა ნათესავისას იქნებაო, გულ-დამშვიდებულნი წამოსულან სახლში. ს. ცინცაძეს, იმის ნაცვლად, რომ ნათესავთან წასულიყო, გზა არეოდა, იქვე სასიმინდეს ქვეშ დაწოლილიყო გალეშილი. იმ ღამეს იქ დარჩენილიყო სიცივესა და ყინვაში. მეორე დღეს, დიდის ხნის ძებნის შემდეგ, ნახეს მკვდარი. მამამ, რასაკვირველია, სიკვდილი ზემოხსენებულ კაცებს დააბრალა და საჩივარი აღძრა მათ წინააღმდეგ. მაგრამ გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ განსვენებული ავადმყოფი ყოფილიყო და ზედაც ბევრი ღვინო ესვა და მით გარდაცვლილიყო.

განსვენებული ღარიბი კაცი იყო, დარჩა წვრილი ცოლ-შვილი.

სკვინჩა.

შუა ქართლის ავ-კარგი. წრევანდელისთანა უამინდობას და დიდ თოვლს კარგა ხანია რაც არ მოვსწრებივართ. განუწყვეტლად თოვლს და ბევრიც იმსხვერპლა მოულოდნელმა სტიქიონმა. ყველა კარშეკეტილ სახლში ზის, რადგანაც საშიშია მგზავრობა. შეშა და სანოვაგე ძლიერ გაძვირდა. ამ უკანასკნელ ხანებში სხვა-და-სხვა სენმაც იჩინა თავი, მომეტებულად სოფლებს, რომელიც უფრო მძვინვარებს ავნევში, ზემო და ქვემო ხვითში, ზემო-ნიქოზში და სხვ. ჩვენდა საუბედუროდ ცხინვალის ექიმი ბ-ნი მუხარინსკი ორის თვის „ოტპუსკშია“ წასული, მისი თანამდებობა მიუნდვიათ გორის სამაზრო ექიმისთვის, რომელიც სიშორის გამო ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევს ხალხს. სასოფლო ქსენონსაც არ ეტანება ხალხი. იქ ხანდახან ცემა-ტყეპით და ლანძღვა-თრევით ისტუმრებენ ავადმყოფთ და მოხუცებულთ არავითარ შველას არ აძლევენ, საქმის „პოვესტკა“ უკვე ჩაბარებული გაქვსო.

არა ნაკლებ გაჭირვებას ვიტანთ ცხინვალის სასამართლოს გადატანით გორში. სამხრეთ სოფლებიდან და დ. ცხინვალიდან გორში უნდა წავიდნენ საჩივლელად, რომელიც ოცდა-ხუთი ვერსის სიშორეზეა აქედგან. ისედაც დაბეჩავებული გლეხი უნდა სამი-ოთხი დღე მოსცდეს იმ სიშორეზე სიარულით და განა ჩვენი გლეხი ამდენ წვა და დაგვას გაუძლებს, რომ წვრილმან საქმეზე მაინც უჩივლოს ვისმე?

უწყლობამ ხომ არაქათი გამოგვილია და გაგვიმრავალკეცა ათასგვარი გაჭირვებანი. ამ უამინდობაში საშინელმა ქარიშხალმა მთლად ამონამქრა რუები და სამ-ოთხის ვერსის სიშორეზედ გვიხდება სიარული ლიახვის წყლის მოსატანად: ტყვილად გვყავს ამორჩეული მერუები, რომელნიც გლეხების ნაოფლარით ქონს იკიდებენ და ჯიბეებს ისქელებენ. ისინი არა ზრუნავენ რუების გასუფთავებ გაწმენდაზედა; ხუთ სოფელს-კი კომლზე ორ აბაზს ახდევინებენ და დალოცვილი ვაჟბატონები-კი რუს გაუმჯობესებობაზე არა ზრუნავენ. ამას წინად ს. ბრეთში ჰქონდათ გლეხებს ყრილობა და ერთხმად გამოაცხადეს, არ გვინდა მერუებიო.

სკოლების რიცხვი მცირეა შუაქართლში. ბევრგან, მაგალითად როგორც ავნევში, ხუთი-ექვსი წელიწადია აღძრული კითხვა, რომ სკოლა გაიხსნას; სკოლის ოთახისთვის მთავრობას გამოგზავნილი აქვს ასი მანეთი, თექვსმეტი სკამი მზათაა. მაგრამ მაინც გაუხსნელი რჩება. რად?—გლეხებს ჯერაც ვერ შეუგნიათ სკოლის საჭიროება და ერთ და იმავე აზრს ადგანან: ჩვენი შვილები მეღორე-მეგუთნეთ უნდა გვყავდეს და არა სკოლებში ვატლიკინოთო. სკოლები საზოგადოთ მეტად ღარიბ მდგომარეობაშია.

კ. ფრონისპირელი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

ავლაბრის სახალხო თეატრი. კვირა საღამოს ავლაბრის სახალხო თეატრის სცენის მოყვარულთ წარმოადგინეს „პატარა კახი“ და „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“, თუ წარმოდგენა შეიძლება დავარქვათ სცენაზედ უთავბოლოდ სიარულს და სიტყვების ღექვას. დიდად და ძალიან დიდად მიკვირს, რამ გააბედინათ „პატარა კახის“ დადგმა იმისთანა სცენაზედ, სადაც შეუძლებელია ამ პიესის კარგად წარმოდგენა, თუ გინდ კარგი მოთამაშენიც იყვნენ. მეორე გასაკვირი ის არის, რომ რით ხელმძღვანელობდა რეჟისორი (თუ ამხანაგობა), როდესაც „პატარა კახის“ შემდეგ, რომელიც 12 საათამდე გაგრძელდა, ვოდევილიც დადგა სცენაზედ.

სცენის მოყვარულნი უმეტეს ნაწილად ლაპარაკს ვერ ახერხებდნენ, ყოველს სიტყვაზედ ენა ებმოდათ და მანამ ერთს სიტყვას იტყოდნენ, ხუთი წამი გადიოდა. სხეულის მოძრაობა თვითოეულისა იყო რაღაც მოუხეშავი და ნაძალადევი. ხელების ქნევას და თავის ცანცარს ხომ საზღვარი არა ჰქონდა. საჭიროდ მიმაჩნია მოვიხსენიო ბ-ნი ალექსიძე, რომელიც „პატარა კახის“ როლს თამაშობდა და რომელმაც არც ერთი თვისება „პატარა კახისა“ და, ასე გასინჯეთ, აჩრდილიც-კი არ დაგვანახვა. ეს სცენის მოყვარე ისე ამახინჯებდა სიტყვებს „პატარა კახისას“, რომ ყოველ გამოსვლაზედ უსიამოვნობის მეტს არას იწვევდა მაშინ, როდესაც ეს ყოვლად დიადი გმირი პიესის ავტორს ძალიან უყვარს და არავისათვის ნება არ მიუცია, ჩემი „პატარა კახი“, რომლის შექმნასაც მე ბევრი შრომა და ნიჭი მოვანდომე, ასე დაამახინჯეთო.

ამას თავი დავანებოთ. უცნაური, სხვათა შორის, ის იყო, რომ გლეხები „დიოგანის“ შარვლებით გამოვიდნენ სცენაზედ, თუმცა—კაცმა, ცოდო არ უნდა სთქვას, ზოგს მაუდის შარვლები ეცვა. კიდევ ძალიან ბევრი რამე ითქმის ამ „წარმოდგენის“ შესახებ, მაგრამ სუყველაფერი რომ დავწერო, მაშინ მთელი ნომერი ამას მოუნდება.

ახლანდელ პირობებში შეუძლებელია წარმოდგენების მართვა, რადგან არც ერთი სცენის მოყვარული არ ვარგა და „წარმოდგენას“ სრულიად არ ეტყობა მზრუნველობა რეჟისორისა, რომელიც, იქნებ, ძალიანაც სცდილობს საქმის მოწესრიგებას, მაგრამ ვერ ახერხებს.

ყველა ამ უწესობის გამომჟღავნებით მე ძნელი როლი ვიკისრე, მაგრამ სიმართლე და ხალხი, რომელიც ბევრჯელ იძულებულია დაესწროს ავლაბრის „წარმოდგენას“, ძვირად მიღირს...

ა—ნა.

ნარკვევი

ჟურნალ „Народное Хозяйство“-ში მოთავსებულია წერილი: „პარალელები და კონტრასტები“, რომელიც ეხება მიმდინარე წლის სახელმწიფოს ხარჯთ აღრიცხვას. ავტორი წერილისა ძლიერ დაუღონებია და დაუეჭვიანებია რუსეთის დღევანდელ ეკონომიურს, გონებრივსა და სულიერ მდგომარეობას. ავტორი სწერს:

„მეტისმეტ აუტანელს მდგომარეობაში იმყოფება არა მარტო სასოფლო მეურნეობა, არამედ, ამავე გაჭირვებაში ჰლაფავს სულს დამმუშავებელი მრეწველობაც ამას აღიარებს დღეს ყველა საქმის მცოდნე კაცი ჩვენში. როგორ წავა საქმე შემდეგში,—ამის შესახებ, შეიძლება, ათასგვარი აზრი წარმოითქვას, მაგრამ ის-კი ყველასათვის აშკარაა, რომ რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა ამ ხუთის წლის წინად გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ახლაა. მდიდრების გადამხდელი ძალა მაშინ უფრო მაღლა იდგა, სახელმწიფო ბიუჯეტი-კი სამჯერ ნაკლები იყო. შემდეგ იწყება სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა და, როგორც 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვიდგან ვსცნობით, ჯერ არ შეჩერებულა. განა შესაძლებელი იყო ამ შემთხვევაში უკან დახევა? სახელმწიფოს გასავლის გადიდებაზედ ამ ათის წლის განმავლობაში აკმაყოფილებდნენ, თუ არა ქვეყნის აუცილებელ მოთხოვნილებათ?

გასავლის ციფირები და მათი შედარებითი ზრდა სულ სხვას გვეუბნება. სახელმწიფოს შემოსავალი ქვეყნის აუცილებელ საჭიროებას არ ჰხმარდება. ამას თითონ ფინანსთა მინისტრი აღიარებს თავისს მოხსენებაში, როცა ამბობს, რომ არ არის საშუალება, ის ათასგვარი აუცილებელი მოთხოვნილებანი დავაკმაყოფილოთ, რის დაკმაყოფილებას შუამდგომლობენ.

სამხედრო ძალის განვითარება ჩვენში განუსაზღვრელია, მაგრამ ქვეყნის ძლიერება მარტო ამაზედ არ არის დამყარებული. ამისთვის საჭიროა ხალხის საწარმოვო ძალთა განვითარება და მისი კულტურულად ამაღლება. ძალას და ძლიერებას სახელმწიფო თითონ ხალხისგან უნდა იღებდეს. უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ერთის მილიარდის ადგილზედ ორ მილიარდს ვხარჯავთ, მაგრამ ქვეყანას ამით არა შეჰმატებია-რა, ისევ გაუნათლებელი და ბნელში მყოფია. მართალია, ცოტა არ იყოს, სკოლების რიცხვი მატულობს, მაგრამ მატულობს მხოლოდ აბსოლიუტურად, რადგანაც მცხოვრებთა რიცხვიც მატულობს. გარდა ამისა, სწავლება სახალხო სკოლებში ძლიერ ცუდ ნიადაგზეა დაყენებული.

ძლიერ ნაკლებია სოფლებში ბიბლიოთეკა-სამკითხველოების და სხვა განმანათლებელ დაწესებულებათა რიცხვი, სადაც შეიძლებოდეს განვითარება და სწავლის შეძენა.

თუ კი საჭიროა ჩვენს დროში გარეშე მტრისაგან თავის დაცვა და სამხედრო ძალის გაძლიერება, არა ნაკლები (და შეიძლება მეტიც ჰქონდეს) მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლებას, განვითარებას, გაჯანსაღებას და ეკონომიურად გაძლიერებას. უამისოდ სამხედრო ძალა იმ ჯარს ეგვანება, რომელსაც ბრძოლის დროს სურსათი და საომარი იარაღი შემოჰკლებია.

ახლანდელ სახელმწიფოებს კარგად შეუგნიათ ეს ჭეშმარიტება და, თუ უნდათ არ ჩამორჩნენ (და გაასწრონ) მეზობელ სახელმწიფოებს, სცდილობენ ჯარის გაძლიერებასთან ერთად განავითარონ და გაანათლონ ხალხი. რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვა-კი ამ შემთხვევაში გასაშტერებელ სურათს წარმოადგენს.

გერმანიაში მარტო პრუსია, სადაც 35 მილიონი სული ითვლება, სახალხო განათლებაზე ჰხარჯავს 50 მილიონ მანეთს; ინგლისი პირველ დაწყებით სწავლაზე—112 მილიონს, რუსეთი-კი—35 მილიონს მანეთს (აქ ერობის ქალაქების და სოფლის ფულიც ურევია.)

ეს 35 მილიონი მანეთი იხარჯება 140 მილიონ მცხოვრებზე. ე. ი. თვითოეულ სულზე მოდის წელიწადში 25 კაპეიკი! ამას შემდეგ გვგონია, რომ ჩვენ მოცილებას, გავუწევთ ვისმეს, როცა რუსეთის მთავრობა სამეცნიერო ექსპედიციას ჰგზავნის ჩინეთში მიწის სივიწროვის მიზეზების გამოსაკვლევად, როცა აკეთებს საზღვრებზე რკინის გზას, როცა ცდილობს ხელში ჩაიგდოს პურის ვაჭრობის საქმე, როცა განზრახვა აქვს დააარსოს მთელი რუსეთისთვის სამეურნეო თუ სხვა ბანკი! განა სახელმწიფო, რომელიც 24 კ. ჰხარჯავს სულზე, შესძლებს მოცილეობა გაუწიოს იმ სახელმწიფოს, რომელიც 5 მ. 50 კ. ე. ი. ოცჯერ მეტს ჰხარჯავს თითოეულ სულის განათლებისათვის?!

ხალხის გაუნათლებლობა თუ განათლებულობა სხვა კულტურულ მოთხოვნილებაშიც გამოიხატება. ავიღოთ მაგალითად რკინა, სად გადის ეს ლითონი მეტი?

1890 წელს თვითოეულ სულზე მიდიოდა:

ჩრ. ა. შეერთებულ შტატებში	—9,74 ფუთი
ინგლისში	8, 1 „
გერმანიაში	8, 1 „
რუსეთში	1, 5 „

აი ამას შემდეგ რა გასაკვირველია, რომ რკინის წარმოება 1902 წ. შემცირებულიყოს. არაფერი ამ გვარი არ მოხდება, რომ ამ უკანასკნელ 1892—1902 წლის განმავლობაში დახარჯულ 15, 3 მილიარდი მანეთიდან 5⁰/₀ სახალხო სწავლა-განათლებას მოჰხმარებოდა. ასე რომ მოქმედულიყავით, ასეთი მწვავე ეკონომიური და საზოგადოებრივი კრიზისი არ დაგვატყდებოდა თავს. სიღარიბე და გაუნათლებლობა საშიშარი მტერია ხალხის კეთილდღეობისა.

წერილები

რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დაგვიბეჭდოთ ქვემორე მოყვანილი ანგარიში თქვენს პატივცემულ გაზეთში და მოგვცეთ საშუალება გამოუცხადოთ გულწრფელი მადლობა რედაქციებს უსასყიდლოდ ბეჭდვისთვის, გაზეთებს უფასოდ და ნახევარ-ფასად გამოგზავნისთვის, იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ბიბლიოთეკას ფული და წიგნები და დასასრულ ყველას, ვინც ხელს უწყობდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზე დაარსებულ ბიბლიოთეკის გაუმჯობესობას.

ელ. კონსტ. ჯინოვისა.

1902 წლის ანგარიში გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზედ დაარსებულ ბიბლიოთეკის შემოსავალისა.

1901 წლიდგან 1902 წ. პირველ იანვრისთვის დარჩა ნაღდი 876. 1902 წ. შემოვიდა: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან 100 მ., კონცერტისაგან 445 მ., წიგნების სარგებლობისაგან 70 მ. 40 კ., კნ. ნ. კ. ნიჟარაძისაგან 28 მ., ა. ი. ღუმბაძისაგან 10 მ., ბ. კიწმარაშვილისაგან 3 მ., ა. ი. პიპინოვისაგან 5 მ., ნატ. ა დორთქიფანიძის მიერ შეკრებილი ფული ბაქოში 110 მ., კნ. ა. აბაშიძის და ბ. მარკოროვის მიერ შეკრებილი ფული ბალახანაში 40 მ, საურთიერთო საზოგადოების ბანკში შეკრებილი დივიდენდი 74 კ., „გრამაფონის“ გაყიდვისაგან 140 მ., ექიმი დ. ნაზაროვის მიერ შეგრებილი ფული სადგილ-მამულო ბანკში 46 მ., სარგებელი 35 მ. 1902 წელს 1903 პირველ იანვრამდე შემოვიდა 1106 მ. 40 კ., 1901 წ. 1902 1 იანვრამდის დარჩენილ ფულიანათ 1983 მ. 9 კ. 1902 წ. დაიხარჯა სახლის ქირა 300 მ. ბიბლიოთეკის გამგეს 180 მ. დაიხარჯა განათების და გათბობისთვის—56. მ. 90 კ. წიგნების შეძენა, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა 181 მ., წლის ანგარიშის დაბეჭდვა 8 მანეთი. ინვენტარი და წვრილმანი ხარჯი 120 მანეთი. სტოროჟის ჯამაგირი 120 მ. წიგნის ამკინძველს 56 მ. 94 კ. ტფილისში და ბაქოში წასვლა ბიბლიოთეკის საქმეების გამო. 50 მ.

1902 წელს დაიხარჯა 1072 მან. 84. კ. 1903 წ. პირველ იანვრამდის დარჩა ნაღდი 910 მ. 25 კ.

ბიბლიოთეკას მოსდის შემდეგი რუსული და ქართული ჟურნალ-გაზეთები: „მირ ბოჟი„, „ნივა“, „ნაროდნოე ბლაგო“, „ჟურნალ დლია ვსეხ“, „პეტერბურგსკია ვედომოსტი“, „იუნი ჩიტატელ“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ტიფლისსკი ლისტოკი“, „მოამბე“, „ჯეჯილი“, „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მწყემსი“, „მოგზაური“, „არგონავტი“.

ამათში უფასოდ: „ნოვ. ობოზრენიე“, „მწყემსი“, „პასტირი“, ტიფლ. ლისტ.“, „არგონავტი“; ნახევარ ფასად: „კვალი“, „მოამბე“, „ცნ. ფურც.“.

1902 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას მიემატა 213 ქართული და 448 რუსული წიგნი. სულ შესდგა 1900 ქართული და 2303 რუსული წიგნი.

ბიბლიოთეკას ჰყავდა წლის განმავლობაში 639 თვიური მკითხველი, რომელთაც გაიტანეს წასაკითხად 10,054 წიგნი.

დღიურ მკითხველთა რიცხვი წლის განმავლობაში იყო 16,350.

მკითხველ საზოგადოებას შეადგენს: გლეხები, მოქალაქენი, თავად-აზნაურნი, სასულიერო წოდების პირნი; პროფესიის მიხედვით: მოხელე, მუშა, ვაჭარი, მოწაფე. წიგნები გაქვთ ისტორიული, ბელეტრისტიული და საბავშვო.

ბიბლ. გამგე ელ. ჯინოვისა.

შემოწირულებანი.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მიიღო ავადმყოფ მსახიობის ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ გამოგზავნილი ფული იმათგან, რომელნიც ვერ დაესწრნენ მისთვის გამართულ წარმოდგენას.

---

*) ჭანთა თეთრსირიელობის შესახებ იხილე ჩემი წერილი, „ივერია“ 1092 წ.

გნ. ნ. ქობულოვის 25 მან., ვალერიანე კონნევი 1 მან., თინათინ კორინთელის 3 მან., შ. ბუბუშვილი 2 მან., ნინო ციციშვილის 5 მან., ნ. დოდობერიძე 5 მან., იაკობ გოგებაშვილი 10 მან., მ. ვ. ჯამბაკურ ორბელიანი 25 მან., ამირაჯიბი 5 მან., დემურია მიშა 1 მან., დემურია ვანო 1 მან., მ. გულისპოვი 5 მან., ტ. დომიძე 3 მან., ს. ჩხარტიშვილის 2 მან. დ. დავიდოვის 2 მან., ბ. მირზოევის 2 მან., ე. დარჩიაშვილის 1 მან. ო. ჭრელაშვილის 1 მან., ს. ჩიქოვანი 1 მან, ი. კანდელაკი 1 მან. დ. ხელაძე 1 მან., გ. კორინთელი 1 მან., ი. სვანიძე 1 მან., დ. გაბრუაშვილი 1 მან., გ. ტოროშელიძე 1 მან., გ. დავიდოვი 1 მან., ე. ერაძე 1 მან., გ. ტარასოვი 1 მან., ზ. ფარესოვი 1 მ., დ. ჯავახოვი 1 მან., ი. ზურაბოვი 2 მან., ბერუჩაშვილი 1 მან., ს. კიკნაძე 1 მან., ციმაკურიძე 1 1 მან., ლ. ორჯონიკიძე 1 მან., ი. ნუზაროვი 1 მან., გნ. ბარ. წულუკიძის 5 მან., ნატო თმიაძე 1. მან., Д—кій 50 კ., მარიამ რიჟოვის 1 მან., ბარბარე რიჟოვის 1 მან., ელისაბედ გულიევის 1 მან., ელენე გრიგორიევის 1 მან., კნიაჟნა ჩერქეზოვის 1 მან., ნადეჟდა ბადრიევის 2 მან., ივლითი კანდელაკი 1 მან., ნადეჟდა კალანდარიშვილი 1 მან., ნინუცა კალანდარიშვილი 1 მან., ანიკო ბახუტოვის 50 კ., მარიამ კასრაძე 50 კ., დარია ხარაევის 5 მ., № 40 კ., Марія Топуридзе 1 მან., Ольга Ольчина 2 მან., Марія Эдилова 50 კ., სოფიო ედილაშვილი 2 მან., ვარო 1 მან., ანნა ნახუცრიშვილი 50 კ., ო. ვაჩნაძე 50 კ., გნ. გურამოვის 50 კ., სონა—ძე 2 მან., ნინო მარდიშვილი 50 კ., მალუცა ზუბგულიძე 1 მან., დ. ნატრაძე 1 მახ.,

ვთხოვთ სხვა გაზეთებმაც, გადაბეჭდონ

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

10 თებერვალი.

პოლტავა. „პოლტავსკი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია დადგენილებანი სასოფლო-სამეურნეო კომიტეტისა. სასურველადაა ცნობილი, რომ მამულების დაკირავების წესები შემოიღონ, ყველასათვის ხელმისაწვდომი სახალხო სკოლები დააარსონ, სოფლის მეურნეობის მოძრავ მასწავლებელთა თანამდებობა დააარსონ, საცდელი მინდვრები ბლომად გააჩინონ, გლეხკაცების შესახებ დებულება მალე შეიცვალოს, ერობას უფლება მიეცეს საკრედიტო დაწესებულებათა გახსნისა, ტელეფონის და საზღვარ-გარეთ საშინაო მრეწველობის მუდმივ გამოფენების გამართვისა. სხდომის დახურვის შემდეგ თავად ურუსოვს მადლობა გადაუხადა კომიტეტმა.

ნიცა. 8 თებერვალს, საღამოს 6 ს. ქალაქი უცებ ელექტრონის სინათლემ გაანათა; ქუჩაში მყოფმა ხალხმა დაინახა კომეტის დაცემა.

ლვოვი. ნავთის მრეწველთა წარმომადგენლებს და საფინანსო წრეებს თათბირი ჰქონდათ გალიციის ნავთის მრეწველობის კრიზისზე და რუსეთისა და ამერიკის ნავთის მოცილეობაზე. იმისათვის, რომ მრეწველობის გაჭირვებას რამე ეშველოს, საჭიროა ნავთის მრეწველთა კავშირი დაარსდეს და გერმანიაში ნავთის გამტანთ შემწეობა მიეცეს.

ველმსტადტი. ის ცნობა, ვითომ ვენესუელას ინსურგენტებზე გაემარჯვოს, სწორე არაა.

პეკინი. ჯანჯიდუნი ხუბეისა და ხუნანის პროვინციების მეფის მოადგილედ დაამტკიცეს.

მადრიდი. ალარის სადგურზედ მგზავრთა მატარებელი საქონლის მატარებელს დაეჯახა; 13 კაცი დაიჭრა.

მოსკოვი. ქ-ნ ჩერტკოვის ანდერძით 50,000 მანეთია დატოვებულია ბავშვთა თავშესაფარებისათვის.—9 თებერვალს ეკატერინეს ინსტიტუტში 100 წლის იუბილეის დღესასწაული დაიწყეს. ინსტიტუტის დამაარსებელის და მფარველის დედოფლის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს. 10 თებერვალს სადღესასწაულო აქტი და ბალი გადაიხადეს.

გროდნო. მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის დეპეშა: „გულით ვმადლობ გროდნოს აზნაურებს ჩემდამი გამოცხადებულ გრძნობათათვის“. ეს დეპეშა თავად-აზნაურებმა ვილნოს გენერალ-გუბერნატორის ამნაირ დეპეშის პასუხად მიიღეს: „მის იმპერატორებით უდიდებულესობას, გროდნოს აზნაურნი ას კაცამდე შეიკრიბნენ ქალ. გროდნოს და, გრძნობენ რა მონარქის ნდობას, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ აზნაურებს მონაწილეობა მიაღებინეს სასოფლო-სამეურნეო კომიტეტებში, მომმართვენ თხოვნით, რომ თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობას მათი უსაზღვრო უქვეშევრდომილესი მადლობა მოვახსენო.

ლოძი. მეფაბრიკე აზელის საქონლის საწყობი დაიწვა. საწყობი 175,000 მანეთამდე იყო დაზღვეული. ზარალი უფრო მეტია.

ვაშინგტონი. ამბობენ, ინსურგენტებს ბევრი იარაღი და სამხედრო სურსათი შეაქვთო. პრეზიდენტს კასტროს არ შეუძლიან ამას ხელი შეუშალოს, რადგან ფლოტი არა აქვს. გერმანიის ესკადრის უფროსი დაჭერილ გემებს პორტო-ოფ-სპეინში კვირას დააბრუნებს.

ოდესა. მევენახეთა და მეღვინეთა კრება გაიხსნა სამხრეთ-რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტის ლეონნარდის თავმჯდომარეობით. 400 წარმომადგენელზე მეტი იღებს მონაწილეობას ამ კრებაში. მიწათ-მოქმედების მინისტრის და ბევრის საზოგადო დაწესებულების მისასალმებელი დეპეშა წაიკითხეს. თავმჯდომარის თანაშემწედ ბაზაროვი და თაიროვი აირჩიეს. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა დონსკოიმ გამოაცხადა, რომ სამინისტრო არა ჰფიქრობს ყურძნის ღვინოს ბაჟი დაადოს და ბანდეროლი გააკრასო. 30-ზე მეტი მოხსენება წარმოადგინეს.

პეტერბურგი. 9 თებერვალს მარინის თეატრში გაიმართა წარმოდგენა ბალეტმეისტერის პეტიპასი უმაღლეს დასწრებით.

ხარკოვი. ბანკის საქმე. მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა დასრულდა.

ჩისტოპოლი. მეორე დღეა ქარბუქი მძვინვარებს.

ვარშავა. ვარშავის სასამართლო პალატის დადგენილებით 1-ლს ივლისს დაიხურება ვარშავის იურიდიულ შემწეობის აღმოსაჩენი კანტორები.

რომი. გეოგრაფიულ საზოგადოებამ სვენგედინს მიუსაჯა ოქროს მედალი.

კარლსრუე. გარდაიცვალა გერცოგი ნიკოლოოზ ვირტემბერგელი.

პეტროზავოდსკი. აქაურს ეკკლესიებსა და მუშებს 9 თებერვალს დაურიგდა წიგნი ე. ვ. ბალდანოვიჩისა „რუსის ერს კეთილ სახსოვრად“.

ფეცი. საქმეთა მდგომარეობა რიგიანია. ტახტის მაძიებელი, როგორც ჰგონებენ—დაჭრილი, რიატტას ტომშია. სამხედრო მინისტრს მეამბოხეთა წინააღმდეგ მიჰყავს ძლიერი ლაშქარი. ხიანას ტომმა განაცხადა დაგმორჩილდებითო, მძევლებს მოგცემთო თავდებათ იმისი, რომ მშვიდობიანად ვიქნებითო და სამხედრო საზღაურს გარდავიხდითო. ინგლისის ინსტრუქტორი მაკლინი ჰფიქრობს, ტახტის მაძიებლის ძალა შემუსვრილიაო.

სტამბოლი. რუს-ოსმალთა მემორანდუმი გადათარგმნეს ოსმალურს ენაზედ. 9 თებერვალს მას განიხილავს მინისტრთა საბჭო.

პარიჟი. „Cor. Tal.“-ში დაბეჭდილია: რადგან საზღვაგარეთის ზოგიერთი გაზეთები სულ სხვანაირად ხსნიან რუსეთის ჩარევას მაკედონელთა საქმეში, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ, რომ პეტერბურგის კაბინეტმა 13 დეკემბერს „მთავრობის უწყებებში“ განაცხადა, რომ ერთად-ერთი მიზანი მისი ჩარევისა მაკედონიის საქმეში არის მშვიდობიანობის დამყარება ბალკანეთის კუნძულებზედ.

11 თებერვალი

ნოსაოვი. ეკატირინეს ინსტიტუტის ასის წლის საიუბილეო ღვთის მსახურნბას დაესწრნენ გრაფი პრატაევ-ბახმეტევი, მოსკოვის წარჩინებულნი პირნი და მრავალი ამ ინსტიტუტის ნამყოფი მოწაფეთაგანი.

დღეს სტრონგონოვის სასწავლებელში გაიხსნება მექარხანეთა კრება, რომელიც შეხება მანქანების გაკეთების შესახებ კითხვებს.

კიევი. თებერვლის 19 შესდგება მეფქვილეთა კრება, რომელშიაც მიიღებს მონაწილეობას 300 მეფქვილე კიევის რაიონისა. კრება განიხილავს ადგილობრივ საჭიროებას საფქვ მრეწველობისას, წისქვილებიდგან ქალაქის სასარგებლო ხარჯის მოსპობისა, ფქვილის საზღვარ-გარედ გატანისა და სხ. შესახებ კითხვების.

ვაშინგტონი. როგორც ბოუენის მიერ დაგზავნილ დეპეშებიდან სჩანს, გერმანისა და იტალიის ესკადრებმა შეპყრობილი გემები კვლავ დაუბრუნეს ვენესუელასაო.

შტუტგარდტი. გაზეთების სიტყვით, ჰერცოგ ნიკოლოზ გარტენბერჰისას დაასაფლავებენ კარლსრუეში პარასკევს.

პეტერბურგი. კურსკის ვიცე-გუბერნატორი ფონ ბიუნტინგი ინიშნება საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის ვიცე-დირექტორად.

მე-20-ე ქვეით დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გაპონოვი ინიშნება გრენიდერთა დივიზიის უფროსად.

გენერალ-ლეიტენანტი ფლეიშერი ინიშნება მე-20-ე ქვეით დივიზიის უფროსად.

გაზეთები იუწყებიან, რომ ისაკიევის ტაძრიდან ბრილიანტების მომპარავი ნოვოგოროდში შეუპყრიათო. ბრილიანტებისთვის ჯერ ვერ მიუგნიათ.

პეტერბურგის ბირჟა, 7 თებერვალს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,, ...	46,27½
პარიჟში ,, ...	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98 მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	95 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	456 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	365 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	307½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად. .	400 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	199½ წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ;— ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე: —ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავდმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და იყიდება ყველგან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1. **ქაჯანა,** მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი ერთი შაური.

2, **ალი,** მოთხრობა მისივე, ფასი ორი შაური.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას დადებითაც ამ ადრესით:

Тифлисъ. Общество распростр. грамотности среди грузинъ. (2—უ.—1)

ტფილისის კლუბი.

15 თებერვალს, შაბათს უფასო და იაფსასადილოებ საჩაიების საზოგადოების ღონის-ძიებათა გასაძლიერებლად, გამართულ იქნება **ჩვეულებრივი სამუსიკო და საცეკვაო**

საღამო,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ნ. ა. კუპერერ, ე. ა. შალცისა, ს. ა. ბეჟან ბეკოვისა, ზ. და ე. ა. ხატისოვისა და ბ-ნნი: სემიგალოვი, ბილშტეინი, ნალბანდიანი, ჩიმიშკიანი და მანდოლინაზედ დაკვრის მოყვარულთა გუნდი ფუგინოვის დირიჟორობით.

საღამოს შემდეგ იქმნება მასკარადი.

დომინო.

საღამოზედ დასასწრებლად აღებულს ბილეთებს ძალა ექმნება მასკარადზედ დასასწრებლად.

დომინო და მასკები საღამოს გამართვის დღეს შეიძლება იქირაოს მსურველმა კლუბის საპირფარეშოში.

ბილეთები იყიდება საზოგადოების თავმჯდომარე ე. ა. ავთანდილოვისას (გრიბოედ. ქ. № 34) დილის 11—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბილეთების მასკებისთვის სახელდებულები ისყიდება საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგ ვ. ა. ევანგულოვისას (პასკევიჩის ქუჩა, სახლი მანთაშევისა), ო. ა. კოვალევისას და საზოგადოების ხაზინადარს ნ. ა. ტარსაიძისას.

მასკარადზედ შესვლის ფასი 2 მან. 10 კ.

(3—2)

ქუთაისის საცდელი მინდორი ამით აუწყებს უ. მეურნეთ, რომ პარასკეობით და კვირაობით ისა ჰყიდის ერთი და ორი წლის **დამყნილ ხეხილის ნერგს** ოროლ შაურად ძირს.

ქ. ქუთაისი, პუშკინის ქუჩა, ბ. ლადიძის ხელოვნურად მომზადებულ ხილეულობის წყლის ზავოდის ეზო. (3—6—2)

ДЕНИСОВСКІЙ

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდოგრინი“ მ. ვ. ლებედევის.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—6)

ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ალაგობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად

ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.

ადრესი: უბრალო წერილებისათვის —„სკრა“, კავკ. რკინის გზის სადგური, ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისა: გორში, ფარს. იაკ. ავსარქისოვს.

კატალოგები მსურველთ გაეგზავნებათ უფასოდ. (6—33—2)

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა,** თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი,** ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პარტრეტით დ ახალციხის მხრის კარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი,** მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა.

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მაიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ. ვიმეორებ-რა ამ თხოვნასა, ვევდრები და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდიბელ ქრისტეანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. обл. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ლაბარატორია

რის გუტმანისა

მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი

(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენევულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოური ფხვნილი მწერთა მოსაგერებლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში, რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან სამოსელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ჭია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) გან. კურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, საათფთიაქ. საქონვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს საათფთიაქო მაღაზიაში.

(40—6.—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 февраля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.